ადრეულ ქორწინებასთან ბრძოლის სტრატეგიის განსაზღვრა და ცნობიერების ამაღლება (2015-2016)

Safari / Saqzahn

საინფორმაციო შეხვედრები სკოლებში

ადრეული ქორწინების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები მარნეულისა (საბირქენდში, დიდ მუღანლოში, დამია-გიაურარხში) და კახეთის (ლაგოდეხი, კაბალა) საჯარო სკოლებში გაიმართა. ქართულ კანონმდებლობასა და ადრეული ქორინების ფსიქო-სოციალურ შედეგებზე ვისაუბრეთ 150 მოსწავლესა და 70 მასწავლებელთან.

საინფორმაციო ბროშურები

სკოლებში დარიგდა ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე დაბეჭდილი საინფორმაციო ბროშურები. აზერბაიჯანელმა მოსწავლეებმა ბროშურები სახლებშიც წაიღეს მშობლებისთვის მისაწოდებლად. ყველა სკოლაში დავტოვეთ დამატებითი ბროშურები, რათა უფროსკლასელების საკლასო კრებებზე მასწავლებლებს მშობლებისათვის დაერიგებინათ. სულ დარიგდა 500 ბროშურა.

ვიდეორგოლი

საინფორმაციო შეხვედრების მსვლელობისას შეხვედრები იწყებოდა საინფორმაციო რგოლის ჩვენებით, რომელიც გახმოვანებული იყო როგორც აზერბაიჯანულ, ისე ქართულ ენებზე. რგოლი მომზადდა "ჩაიხანასა" და "ქალთა მოძრაობის" მიერ და 2015 წლის ბოლოს ტელევიზიების საშუალებითაც ვრცელდებოდა. რგოლში გრაფიკულად ნაჩვენებია ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებული პრობლემები და სტატისტიკური მონაცემები.

ვებგვერდი და საინფორმაციო კამპანია

პროექტის ფარგლებში "საფარის" ვებგვერდზე საგანგებოდ მომზადდა რუბრიკა, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობაში ადრეული ქორწინების პრობლემატიკის შესახებ სათანადო ინფორმაციის გავრცელებას. 2015 წლის დეკემბრიდან მოყოლებული, 2016 წლის აპრილის ჩათვლით, ადრეული ქორწინების საფრთხეებზე საინფორმაციო ცნობიერების გაზრდის მიზნით, არაერთხელ გაშუქდა ადრეული ქორწინების პრობლემატიკა "საფარის" აქტიური ჩართულობით.



კვლევა და სტრატეგიის შემუშავება

ადრეულ ასაკში ქორწინების წინააღმდეგ სახელმწიფო სტრატეგიის პროექტზე მუშაობის პროცესში მიმოვიხილეთ საქართველოში არსებული მდგომარეობა და უცხო ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა. სტრატეგიის პროექტის განხილვა მოხდა პრემიერ მინისტრის მრჩეველთან. "საფარი" აგრძელებს ადრეულ ქორწინებაზე სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების ადვოკატირებას.

პროექტი განხორციელდა პრეზიდენტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით